საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

კრიტიკული ჟურნალისტების დევნა და შევიწროება აჭარის ტელევიზიაში

კვლევის ავტორი:

სალომე ცეცხლაძე

კვლევის ავტორი და ხელმძღვანელი:

მამუკა ანდღულაძე

პუბლიკაცია მომზადდა ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“. შესაძლოა, ის არ ასახავდეს ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შეხედულებებს.

Norwegian Ministry
of Foreign Affairs

სარჩევი

შესავალი	4
ძირითადი მიგნებები	4
როგორ დაიწყო კრიზისი აჭარის ტელევიზიაში	5
ახალი დირექტორის არჩევა	6
კრიტიკული თანამშრომლების შევიწროება და სამსახურიდან გათავისუფლება	7
ახალი თანამშრომლების დასაქმება	11
გამოხმაურება ტელევიზიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით	12
რეკომენდაციები	14

შესავალი

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში (აჭარის ტელევიზია) მიმდინარე პროცესებმა, მათ შორის მენეჯმენტის მიერ განხორციელებულმა დისკრიმინაციულმა და სადაო საკადრო გადაწყვეტილებებმა, საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. წინამდებარე ანგარიში ძირითადად 2019 წლის აპრილის თვიდან, მაუწყებლის იმჟამინდელი დირექტორის, ნათია კაპანაძის, იმპიჩმენტის შემდეგ მაუწყებელში განვითარებულ მოვლენებს მოიცავს. კვლევაში მიმოვიხილავთ თუ როგორ დაიწყო და განვითარდა კრიზისი ტელევიზიაში. კერძოდ, საუბარია მმართველ პარტიასთან აფილირებული ხელმძღვანელობის მიერ უკანონოდ გათავისუფლებული ან შევიწროებული ათობით კრიტიკულად განწყობილი თანამშრომლის საქმეზე.

კვლევა ეყრდნობა მედიაში საჯაროდ გავრცელებულ ინფორმაციას, მრჩეველთა საბჭოს სხდომებს, მაუწყებლის კვარტალურ ანგარიშებს, მაუწყებლიდან გამოთხოვილ ინფორმაციასა და სხვა საჯარო წყაროებს.

ძირითადი მიგნებები

- გიორგი კოხრეიძის დირექტორად დანიშვნის შემდეგ, მისი საკადრო გადაწყვეტილებები მიმართული იყო არხზე კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტების სამსახურიდან გაშვებისა და შევიწროებისკენ. მათ შორის არიან პროფკავშირების წევრები და თავმჯდომარე.

- ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები კრიტიკულად აფასებენ აჭარის ტელევიზიაში განვითარებულ პროცესებს; სახალხო დამცველმა მოქმედი და ყოფილი რამდენიმე თანამშრომლის უფლებების დარღვევისა და ასევე დისკრიმინაციის ფაქტები დაადგინა.

- მრჩეველთა საბჭოს უმრავლესობა სათანადოდ არ რეაგირებს ტელევიზიაში მიმდინარე ნეგატიურ პროცესებზე, ვერ უზრუნველყოფს მენეჯმენტის ეფექტურ კონტროლს.

როგორ დაიწყო კრიზისი აჭარის ტელევიზიაში

აჭარის ტელევიზია საზოგადოებრივ მაუწყებლად 2013 წელს ჩამოყალიბდა. მანამდე ის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება იყო. მის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და ხელისუფლებსთან კავშირების შესახებ კითხვები ხშირად ისმებოდა.[1] 2016 წლის ოქტომბერში მრჩეველთა საბჭომ ნათია კაპანაძე დირექტორად აირჩია.[2] მისი დირექტორობის პერიოდში, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მუშაობა პოზიტიურად იყო შეფასებული და პოლარიზებულ მედია გარემოში ტელევიზია მიუკერძოებლობით ხასიათდებოდა.[3] 2019 წლის 19 აპრილს მრჩეველთა საბჭომ ნათია კაპანაძეს უნდობლობა, უფლებამოსილების ამოწურვამდე 6 თვით ადრე, გამოუცხადა. იმპიჩმენტის მთავარ მიზეზად სატელევიზიო რეიტინგების კლება, პრიორიტეტების შეუსრულებლობა, კომუნიკაციის ნაკლებობა, შესყიდვებთან დაკავშირებული არაერთი დარღვევა დასახელდა.[4] ნათია კაპანაძის თანამდებობიდან გადაყენებამ და მას შემდეგ მიმდინარე მოვლენებმა გააჩინა საფუძვლიანი ეჭვი, რომ პროცესი ხელისუფლების მიერ იყო მართული და მიზნად ტელევიზიაზე ზეგავლენის მოხდენას ისახავდა.[5]

ნათია კაპანაძემ გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა. საქმის არსებითი განხილვა ორი წლის შემდეგ დაიწყო.[6] კაპანაძე სასამართლო დავის დასრულებამდე მრჩეველთა საბჭოს მიერ იმპიჩმენტის გამოცხადების აქტისა და დირექტორის კონკურსის შეჩერებასაც ითხოვდა, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა.[7]

---

1 ტოკ-შოუს წამყვანი სტუმრის სტატუსით ზეწოლის ფაქტებს იხსენებს - „მინახავს სახელისუფლებო ზეწოლა სოსო სტურუაზე“, აჭარის ტელევიზია და რადიო, 24.10.2019, https://bit.ly/3cnYDaA

2 მაუწყებლის დირექტორად ნათია კაპანაძე აირჩიეს, აჭარის ტელევიზია და რადიო, 24.10.2016, https://ajaratv.ge/article/6979

3 ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2017 წლის 21 ოქტომბერი და 12 ნოემბერი, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE), 23.02.2018, https://www.osce.org/files/f/documents/f/a/375682.pdf

4 განცხადება ნათია კაპანაძისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო, 10.04.2019, https://bit.ly/3g5PqpT

5 მიმართვა აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე საგანგაშო პროცესებთან დაკავშირებით, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 17.03.2020, https://bit.ly/3oLIVLj

6 ორწლიანი დაგვიანების შემდეგ „ნათია კაპანაძის საქმის“ განხილვა დაიწყო, www.batumelebi.ge, 25.05.2021 https://batumelebi.netgazeti.ge/news/346301/

7 ნათია კაპანაძე ბათუმის საქალაქო სასამართლოს კიდევ ერთ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს, აჭარის ტელევიზია და რადიო, 14.05.2019, https://ajaratv.ge/article/43229

ახალი დირექტორის არჩევა

ახალი დირექტორის არჩევა ხანგრძლივი პროცესი გამოდგა. მოვალეობის შემსრულებელი კაპანაძის პირველი მოადგილე ნათია ზოიძე გახდა, რომელიც ამ პოზიციაზე ახალი დირექტორის არჩევამდე, 2019 წლის ნოემბრამდე დარჩა. ზოიძე 2019 წლის აპრილში, დირექტორის პოზიციაზე გამოცხადებულ პირველ კონკურსში იღებდა მონაწილეობას. კონკურსი ჩაიშალა იმ მიზეზით, რომ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების საკმარისი რაოდენობა. ზოიძემ კი მოგვიანებით განაცხადა, რომ კონკურსში მონაწილეობამდე მმართველი პარტიისგან მიიღო გზავნილი, რომ მასში მონაწილეობა არ მიეღო.[8]

2019 წელს დირექტორის შესარჩევი კონკურსი 3-ჯერ ჩაიშალა, ვინაიდან ვერც ერთმა კანდიდატმა სათანადო ხმების რაოდენობა ვერ მიიღო, მათ შორის, ვერც ტელევიზიის ამჟამინდელმა დირექტორმა გიორგი კოხრეიძემ. მეოთხე კონკურსის გამოცხადებამდე გიორგი კოხრეიძემ მესამე კონკურსის შედეგები სასამართლოში გაასაჩივრა, სადაც დაობდა, რომ ბორდმა კანონი არასწორად განმარტა და სინამდვილეში კონკურსში თვითონ გაიმარჯვა.[9] 24 სექტემბერს სასამართლომ კონკურსი შეაჩერა. ეს პერიოდი კი დაემთხვა მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის განახლებას. საბჭოს შემადგენლობის 5 წევრიდან 3 „ქართული ოცნების“ ფრაქციების კვოტით იქნა არჩეული.[10] საბოლოოდ, განახლებულმა მრჩეველთა საბჭომ 23 ნოემბერს მეოთხე კონკურსში დირექტორად გიორგი კოხრეიძე აირჩია.

დირექტორის არჩევის ხანგრძლივი პროცესის განმავლობაში პარტია „ქართული ოცნების“ მხრიდან მიმდინარეობდა მიზანმიმართული ზეწოლა აჭარის ტელევიზიის მისამართით. მმართველი პარტიის დამფუძნებელმა და იმჟამინდელმა თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა, აჭარის ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკის მიმართ უკმაყოფილება ღიად გამოთქვა.[11] პარლამენტის ვიცე-სპიკერი, გია ვოლსკი, აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტს აკრედიტაციის შეჩერებით დაემუქრა,[12] „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ირაკლი კობახიძე ჟურნალისტი ოპოზიციური პარტიის ინტერესების გატარებაში დაადანაშაულა,[13] არც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, თორნიკე რიჟვაძე იყო აჭარის ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკით კმაყოფილი.[14]

---

8 ნათია ზოიძე აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს: არ შემოგვასაღოთ ეს ფარსი, www.batumelebi.ge, 03.06.2019, https://batumelebi.netgazeti.ge/news/208091/

9 სასამართლოს გადაწყვეტილებით, აჭარის ტელევიზიის დირექტორის შესარჩევი კონკურსი შეჩერდა, www.mediachecker.ge, 24.09.2019, https://bit.ly/3oydML1

10 ნინო ლომჯარია მრჩეველთა საბჭოს წესის დაკომპლექტების შეცვლას ითხოვს, აჭარის ტელევიზია და რადიო, 05.12.2019, https://ajaratv.ge/article/52527

11 „სად გაიზარდე შვილო... ნუ უზრდელობ, დაწყნარდი“ - ბიძინა ივანიშვილი აჭარის მაუწყებლის ჟურნალისტს, აჭარის ტელევიზია და რადიო, 17.07.2019, https://ajaratv.ge/article/45999

12 აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტს ვოლსკი აკრედიტაციის შეჩერებით დაემუქრა, www.batumelebi.ge, 17.09.2019, https://batumelebi.netgazeti.ge/news/228503/

13 „გაემიჯნეთ ნაციონალურ მოძრაობას“ - ირაკლი კობახიძე აჭარის მაუწყებლის ჟურნალისტს, აჭარის ტელევიზია და რადიო, 14.11.2019, https://ajaratv.ge/article/51512

14 „მე მინდა გთხოვოთ, რომ დაოკდეთ“ - თორნიკე რიჟვაძე აჭარის მაუწყებელს, აჭარის ტელევიზია და რადიო, 6.09.2019, https://ajaratv.ge/article/48391

კრიტიკული თანამშრომლების შევიწროება და სამსახურიდან გათავისუფლება

დირექტორის არჩევის გაჭიანურებული პროცესის ფონზე ტელევიზიის ჟურნალისტების ნაწილი კრიტიკულად აფასებდა მედიის გარშემო მიმდინარე პროცესებს და არ მალავდა საკუთარ უკმაყოფილებას. ამ პერიოდის მანძილზე ჟურნალისტებმა არაერთი განცხადება გაავრცელეს, დასახმარებლად მიმართავდნენ, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებს.[15] ისინი გამოთქვამდნენ ეჭვს, რომ ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების უკან ხელისუფლება იდგა და მიზანი სარედაქციო პოლიტიკის შეცვლა იყო.

სწორედ თანამშრომლების ეს ნაწილი გახდა მენეჯმენტის მხრიდან შევიწროებისა თუ გათავისუფლების ობიექტი. საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, სამსახურიდან გაათავისუფლეს 3 ადამიანი, სხვადასხვა მიზეზით სარედაქციო პოლიტიკას ჩამოაშორეს ან/და სხვა პოზიციაზე გადაიყვანეს 5 ადამიანი, ხელშეკრულება შეუწყვიტეს 3 ადამიანს, არხი დატოვა 4-მა თანამშრომელმა. დღეისათვის ორგანიზაციის წინააღმდეგ სასამართლოში ათამდე შრომითი დავაა შესული.[16]

გიორგი კოხრეიძემ დირექტორად არჩევის დღესვე აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტებს კრიტიკული ტონი დაუწუნა.[17] პირდაპირ ეთერში დირექტორმა მის პირველ მოადგილეს, ნათია ზოიძეს თანამდებობიდან წასვლის აუცილებლობაზე მიანიშნა.

ნათია ზოიძემ განაცხადა, რომ ახალდანიშნული გიორგი კოხრეიძე სისხლის სამართლებრივი დევნით დაემუქრა, თუ სარედაქციო პოლიტიკას არ ჩამოშორდებოდა.[18] მალევე მის წინააღმდეგ მრჩეველთა საბჭოს წევრისთვის საარქივო მასალის უსასყიდლო გადაცემის შესაძლო ფაქტის შესახებ შიდა მოკვლევა დაიწყო.[19] თავის მხრივ ნათია ზოიძემ პროკურატურაში იჩივლა. მისი თქმით, ახალი დირექტორი - გიორგი კოხრეიძე, მას სატელეფონო საუბრის გასაჯაროებით დაემუქრა[20] იმ შემთხვევაში, თუ სარედაქციო პოლიტიკას არ ჩამოშორდებოდა. ამასთან, ტელევიზიის დირექტორმა ზოიძე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში დაადანაშაულა. გიორგი კოხრეიძის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე[21] ნათია ზოიძის შრომითი ხელშეკრულება შეიცვალა და სარედაქციო პოლიტიკის მართვის უფლება, პროგრამული პრიორიტეტების შესრულების

---

15 „ქართული ოცნების“ მიერ აჭარის ტელევიზიის ხელში ჩაგდების მცდელობის ქრონოლოგია, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 19.06.2020, https://bit.ly/3w4rpDU

16 „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიერ აჭარის ტელევიზია და რადიოდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, 28.04.2021, https://bit.ly/3vnLNQX

17 „სტუმარი არ უნდა გააღიზიანო, უნდა გააკრიტიკო როგორც ძმა და შვილი“ - გიორგი კოხრეიძის პირველი ეთერი დირექტორის რანგში, აჭარის ტელევიზია და რადიო, 23.11.2019, https://ajaratv.ge/article/51928

18 ჟურნალისტი ნათია ზოიძე: თუ არ ჩამოვშორდები სარედაქციო პოლიტიკას, დირექტორი დევნით მემუქრება, www.batumelebi.ge, 30.11.2019, https://batumelebi.netgazeti.ge/news/242556/

19 გიორგი კოხრეიძე ნათია ზოიძეს არქივის უკანონო განკარგვას ედავება, აჭარის ტელევიზია და რადიო, 2.12.2019, https://ajaratv.ge/article/52363

20 ნათია ზოიძემ პროკურატურას მიმართა, www.batumelebi.ge, 14.12.2019, https://batumelebi.netgazeti.ge/news/245010/

21 აჭარის ტელევიზიის დირექტორმა ნათია ზოიძეს მხოლოდ „ანგარიშების შედგენის“ ფუნქცია დაუტოვა, www.batumelebi, 23.12.2019, https://batumelebi.netgazeti.ge/news/246257/

უზრუნველყოფა და სამსახურებრივი საქმიანობის კონტროლის ფუნქცია ჩამოერთვა. მოგვიანებით, ნათია ზოიძის წინააღმდეგ დისციპლინური საქმის წარმოება შეწყდა. 2020 წლის 2 თებერვალს მან აჭარის ტელევიზიის დირექტორის მოადგილის თანამდებობა საკუთარი ნებით დატოვა.

საინფორმაციო სამსახურის უფროსის, **შორენა ღლონტის** წინააღმდეგ დაიწყო დისციპლინური წარმოება და ის სამსახურიდან გაუშვეს. საკითხი მაუწყებლის ეთერში 2019 წელს აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტთან (NDI) თანამშრომლობით მომზადებულ გადაცემას ეხებოდა, საიდანაც ღლონტს მაუწყებლის გვერდის ავლით ფინანსური სარგებლის მიღებაში ადანაშაულებდნენ.[22] ამის შემდეგ ის კონსულტანტად გადაიყვანეს, მაგრამ 2020 წლის 28 თებერვალს იქიდანაც გაათავისუფლეს. ამ დროისთვის შორენა ღლონტი ორივე გათავისუფლების გამო მაუწყებლის წინააღმდეგ სასამართლოში დაობს.

ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკას ჩამოაშორეს კიდევ ერთი კრიტიკულად განწყობილი თანამშრომელი **მაია მერკვილაძე**. ამ შემთხვევაში მიზეზი დირექტორის ინიციატივით ახალი საშტატო განრიგის დამტკიცება იყო, რომლითაც სამსახურის უფროსების მოადგილეების, მათ შორის მერკვილაძის პოზიცია გაუქმდა. მართალია რეფორმის შედეგად „რედაქტორის“ ახალი თანამდებობა შეიქმნა, მაგრამ მაია მერკვილაძეს ეს პოზიცია არ შესთავაზეს და 2020 წლის 19 თებერვალს რადიოს საინფორმაციო გამოშვებების რედაქტორის შტატგარეშე პოზიციაზე გადაიყვანეს. ის დღეს სასამართლოში ტოლფასს თანამდებობაზე აღდგენას ითხოვს.

2020 წლის მარტში სარედაქციო პოლიტიკას ჩამოაშორეს ტელევიზიის ონლაინ სამსახურის უფროსი **სოფიო ჟღენტიც**. ახალი დებულებით, მის სამსახურს ახალი ამბების შექმნისა და წარმოების ფუნქცია ჩამოერთვა.[23] სოფიო ჟღენტი თავისი უფლებების აღდგენას სასამართლოს გზით ცდილობს.

გიორგი კოხრეიძემ მთავარი საინფორმაციო გადაცემის წამყვანი - **თეონა ბაკურიძე**, ეთერიდან 2020 წლის 9 მარტს მოხსნა, უფლებამოსილება დროებით შეუჩერა და მოგვიანებით სამსახურიდან გაათავისუფლა. მენეჯმენტის განცხადებით, ბაკურიძემ საინფორმაციო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, გიორგი აბაზაძეს, არ მისცა საქმიანობის განხორციელების უფლება, „ახდენდა ზეწოლას ფსიქოლოგიურად და აიძულებდა აბაზაძეს, განცხადების საფუძველზე დაეტოვებინა მისი პოზიცია“.[24] თეონა ბაკურიძე სასამართლოში დირექტორის მიერ გათავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, დისკრიმინაციის დადგენასა და ზიანის ანაზღაურებას ითხოვს.[25]

---

22 EMC აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა ინტერესებს სასამართლოში დაიცავს, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 9.03.2020, https://bit.ly/2SfDM1X

23 როგორ ჩამოაშორეს მორიგი მორიგი „არასასურველი კადრი“ აჭარა ტვ-ის საინფორმაციოს, www.batumelebi.ge, 11.04.2020, https://batumelebi.netgazeti.ge/news/268843/

24 დირექტორის ბრძანებით, აჭარის მთავარი საინფორმაციოს წამყვანი თეონა ბაკურიძე დროებით ეთერიდან მოხსნეს, www.mediachecker.ge, 06.03.2020, https://bit.ly/3wm13xQ

25 EMC: თეონა ბაკურიძის სამსახურიდან გაშვება მაუწყებლის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის გაგრძელებაა, www.mediachecker.ge, 14.03.2020, https://bit.ly/3ozTaST

დირექტორის ბრძანებით, 2020 წლის 23 მარტს მაუწყებლის კორესპონდენტი **თეონა ხარაბაძე** ქუთაისის არარსებულ ბიუროში გადაიყვანეს. ხარაბაძე აცხადებს, რომ კოხრეიძის გადაწყვეტილების მიზანი საინფორმაციო სამსახურიდან მისი ჩამოშორება იყო.[26] ხარაბაძე სასამართლოში ხელშეკრულების პირობების ცვლილების გზით მის საქმიანობაში უკანონო ჩარევისა და ზემოქმედების აკრძალვას ითხოვს.

2020 წლის 30 ივლისს სამსახურიდან გაათავისუფლეს შემოქმედებითი სამსახურის დილის გადაცემის „დილის ტალღის“ რედაქტორი **ბაჩო გურაბანიძე**, შემოქმედებითი სამსახურის შემოქმედებითი მიმართულების მენეჯერი **გიორგი მურვანიძე** და მემონტაჟე გუგა ქადიძე. მიზეზი ტელევიზიაში მომხდარი ფიზიკური დაპირისპირება იყო, რომლის ამსახველი კადრები მათი გათავისუფლების დღეს გავრცელდა. ბაჩო გურაბანიძე და გიორგი მურვანიძე ალტერნატიული პროფკავშირების აქტიური წევრები იყვნენ და სამსახურიდან გათავისუფლებას ამ ფაქტს უკავშირებდნენ. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 230-მა თანამშრომელმა მოაწერა ხელი სამსახურში მათი დაბრუნების მოთხოვნას,[27] გაიმართა აქციები. მოგვიანებით, მაუწყებლის ხელმძღვანეობამ თანამშრომლები ტელევიზიაში დააბრუნა, თუმცა გურაბანიძე და მურვანიძე მმართველობით რგოლს ჩამოაშორა.[28]

საინფორმაციო გამოშვება „მთავარის“ ერთ-ერთ წამყვანს **თეონა თურმანიძეს** 1 წლით შეეზღუდა რეპორტიორობა და ტელევიზიის ეთერში მუშაობა. მიზეზი სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მისი კრიტიკული პოსტები იყო.[29] თეონა თურმანიძის საქმეზე დაწერილი პოსტებისთვის 2020 წლის 11 მაისს სამსახურიდან გაათავისუფლეს გადაცემა „ჰეშთეგის“ წამყვანი **მალხაზ რეხვიაშვილიც**. რეხვიაშვილი ასევე ხელმძღვანელობდა ტელევიზიის თანამშრომლების ნაწილის მიერ შექმნილ ალტერნატიულ პროფკავშირებს, რომელიც მენეჯმენტის გადაწყვეტილებების მიმართ კრიტიკული პოზიციით გამოირჩეოდა. როგორც რეხვიაშვილმა აღნიშნა, სოციალურ ქსელში დაწერილი მისი სტატუსები,[30] მენეჯმენტმა ტელევიზიის დისკრედიტაციად შეაფასა და ვინაიდან რეხვიშვილმა მათი შინაარსი არ უარყო, სამსახურიდან გაუშვეს. ის სასამართლოში სამსახურში აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებას ითხოვს.

გადაცემა „ათვლის კუთხემ“, რომელიც აჭარის ტელევიზიაზე გადიოდა, რეხვიაშვილს მხარი დაუჭირა[31] და თანაწამყვანობა შესთავაზა. გადაცემის წამყვანებს **ნათია ქარჩილაძეს** და **გიორგი არობელიძეს** (რომლებიც, ასევე, გადაცემა „ჰეშთეგის“ ჟურნალისტებიც იყვნენ) 2021 წლის დასაწყისიდან შრომითი ხელშეკრულება აღარ გაუგრძელდათ. მანამდე შრომითი ხელშეკრულება შეუჩერდა კიდევ ერთ კრიტიკულად განწყობილ საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერს, **ნათია შავაძეს**.[32]

---

26 ბათუმიდან ქუთაისის არარსებულ ბიუროში - დირექტორის დაგეგმილი მორიგი ცვლილება აჭარა TV-ს სარედაქციო გუნდში, www.mediachecker.ge, 23.03.2020, https://bit.ly/3fEue8H

27 აჭარის ტელევიზიის 230 თანამშრომელი 3 გათავისუფლებული კოლეგის დაბრუნებას ითხოვს, www.batumelebi.ge, 30.07.2020, https://batumelebi.netgazeti.ge/news/292777/

28 რა პოზიციებზე ბრუნდებიან აჭარის TV-ში ბაჩო გურაბანიძე და გიორგი მურვანიძე, www.mediachecker.ge, 06.08.2020, https://bit.ly/3vF4BeB

29 თეონა თურმანიძეს აჭარა TV-ში წამყვანობა და რეპორტიორობა ერთი წლით შეეზღუდა, www.mediachecker.ge, 01.05.2020, https://bit.ly/3f9lict

30 აჭარა TV-ის კიდევ ერთი კადრი ჩამოაშორეს - ისიც facebook-ზე გამოქვეყნებული პოსტი გამო, www.mediachecker.ge, 11.05.2020, https://bit.ly/3oByh9K

31 გადაცემა, რომელიც აჭარის ტელევიზიაზე გადის, მალხაზ რეხვიაშვილს სამსახურს სთავაზობს, https://bit.ly/2QCBf19

32 აჭარის მაუწყებლის პროდიუსერს ხელშეკრულება აღარ გაუგრძელდა, აჭარის ტელევიზია და რადიო, 10.01.2020, https://ajaratv.ge/article/53920

2019 წლის 25 ნოემბერს გიორგი კოხრეიძის დირექტორად არჩევის გამო არხი პროტესტის ნიშნად დატოვა ტელევიზიის კონსულტანტმა **ზვიად ქორიძემ**. [33] მაუწყებელში მიმდინარე პროცესების ფონზე 2020 წლის თებერვალში ტელევიზია პროტესტის ნიშნად დატოვა ჟურნალისტმა **ნინო ხოზრევანიძემაც**[34]. ტელევიზიიდან წავიდა ასევე მარინა ვაშაყმაძე.[35]

2019 წლის 4 დეკემბერს, გიორგი კოხრეიძემ, გადაცემა „ჰეშთეგი“, რომელიც საქართველოში და მსოფლიოში მიმდინარე მწვავე და აქტუალურ ამბებს აშუქებს, მიკერძოებულობაში დაადანაშაულა, რაც „ჰეშთეგის“ გუნდმა სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევის მცდელობად შეაფასა და დირექტორისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვა.[36] 2020 წლის 23 მარტს ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო, დირექტორის გადაწყვეტილებით, არხზე საინფორმაციო და სამედიცინო გადაცემების გარდა, ყველა გადაცემა შეჩერდა.[37] გადაცემა მცირე ხნით დაბრუნდა მაისში და ისევ შეჩერდა. ეთერში გადაცემა მხოლოდ არჩევნების შემდეგ აღდგა - კვირაში 5 დღის ნაცვლად, 1 დღე. აღნიშნულს „ჰეშთეგის“ გუნდი მენეჯმენტის რეპრესიული პოლიტიკის გაგრძელებად მიიჩნევს.[38]

33 აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელს ზვიად ქორიძის შემდეგ მარინა ვაშაყმაძეც ტოვებს, www.on.ge, 25.11.2019, http://go.on.ge/1b08

34 აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტი გიორგი კოხრეიძეს: „პასუხისგება მოგიწევთ“, www.batumelebi.ge, 25.02.2020, https://bit.ly/343RFmp

35 აჭარის მაუწყებელს მარინა ვაშაყმაძეც ტოვებს მედია პუბლიკა, www.publika.ge, 25.11. 2019 https://publika.ge/acharis-mauwyebels-marina-vashaymadzec-tovebs/

36 გადაცემა „ჰეშთეგის“ გუნდი აჭარის ტელევიზიის ახალი დირექტორისგან ბოდიშს ითხოვს, www.batumelebi.ge, 4.12.2019, https://batumelebi.netgazeti.ge/news/243135/

37 აჭარა TV-ზე საინფორმაციო გადაცემების გარდა სხვა ყველა გადაცემა შეჩერდა - „ჰეშთეგში“ ამბობენ, რომ ეს გადაცების დახურვაა, www.mediachecker.ge, 24.03.2020, https://bit.ly/3yw0svx

38 „ჰეშთეგი“ ეთერში დაბრუნდა, თუმცა 5 დღის ნაცვლად, მხოლოდ 1 დღე გავა, www.mediachecker.ge, 17.11.2020, https://bit.ly/3ysfNgs

ახალი თანამშრომლების დასაქმება

ახალი მენეჯმენტის პირობებში ტელევიზიაში მუშაობა რამდენიმე ახალმა თანამშრომელმა დაიწყო, მათ შორის აკაკი გოგიჩაიშვილმა და ნინო ხაჟომიამ. გოგიჩაიშვილი მთავარი საინფორმაციო გამოშვების რედაქტორი გახდა.[39] აკაკი გოგიჩაიშვილი წლების განმავლობაში ტელეკომპანია „რუსთავი 2-ში“ მუშაობდა, ასევე გახლდათ „ჯორჯიან მარგანეცის“ პრესსპიკერი.[40] მისი მეუღლე, ნინო ხაჟომია კი, საინფორმაციო გამოშვების ერთ-ერთი რედაქტორი გახდა, თუმცა მალევე ვებრედაქტორის პოზიციაზე გადაიყვანეს. ხაჟომიაც წლების განმავლობაში მუშაობდა „რუსთავი 2-ში“, ასევე დასაქმებული იყო ტელეკომპანია „რეალ ტვ-ში“. აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის უფროსად ტელეკომპანია „იბერიის“ საინფორმაციო სამსახურის ყოფილი უფროსი, ვახტანგ ხუზმიაშვილი დაინიშნა. თავის დროზე გამოცხადებულ კონკურსზე განაცხადი მხოლოდ ხუზმიაშვილმა შეიტანა. ტელეკომპანია „იბერიის“ დახურვის შემდგომ ვახტანგ ხუზმიაშვილი „პრაიმტაიმის“ მულტიმედიურ ჯგუფს ხელმძღვანელობდა.[41] ის ხელისუფლებას „იბერიის“ წინააღმდეგ ზეწოლაში[42] და საქმიანობის შეზღუდვაში ადანაშაულებდა და მოგვიანებით ტელევიზიის მფლობელებსაც აკრიტიკებდა.[43] ხუზმიაშვილმა თანამდებობა 2021 წლის 8 ივლისს საკუთარი განცხადების საფუძველზე განმარტების გარეშე დატოვა.[44] მისი ადგილი ნაზიბროლა ქობულაძემ დაიკავა, რომელიც, ასევე, კოხრეიძის დირექტორობის დროს მთავარი საინფორმაციო გამოშვების წამყვანად მივიდა ტელევიზიაში. ქობულაძე მანამდე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გზების დეპარტამენტში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში და ადგილობრივ ტელევიზია „TV 25-ში“ მუშაობდა.[45]

კოხრეიძემ პირველ მოადგილედ იაკინთე ჩხარტიშვილი ტელევიზიაში უკონკურსოდ მიიყვანა. ჩხარტიშვილი მანამდე აჭარის ა.რ სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე იყო.[46] მას არ აქვს მედიაში მუშაობის შესაბამისი გამოცდილება.

---

39 აჭარის ტელევიზიის რედაქტორად აკაკი გოგიჩაიშვილი დანიშნეს, www.batumelebi.ge, 29.06.2020, https://batumelebi.netgazeti.ge/news/286406/

40 „ჯორჯიან მანგანეზი“ შუქრუთის მოსახლეობას სასამართლოში უჩივის, www.kutaisipost.ge 10.02.2020, https://bit.ly/3gZSc02

41 აჭარა TV-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსის პოზიციაზე მხოლოდ ვახო ხუზმიაშვილის განაცხადი შევიდა, www.mediachecker.ge, 10.04.2020, https://bit.ly/3uIPyzk

42 მედიის დამოუკიდებლობა და თამბაქოზე დამოკიდებულება,www.radiotavisupleba.ge, 21.02.2018, https://bit.ly/3w4WJ5m

43 ვახო ხუზმიაშვილი: ჩვენ არ ვიბრძოდით იმისთვის, რომ ვიღაცეების მილიონები დაგვეცვა, www.radiotavisupleba.ge, 26.11.2020, https://bit.ly/2UNF0mi

44 ვახო ხუზმიაშვილმა საინფორმაციო სამსახურის უფროსის თანამდებობა დატოვა, აჭარის ტელევიზია და რადიო, 8.07.2021, https://www.adjaratv.ge/article/79665

45 აჭარის ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებას ნაზიბროლა ქობულაძე წაიყვანს, www.mediachecker.ge, 16.03.2020, https://bit.ly/3A94HOa

46 იაკინთე ჩხარტიშვილი ხელმძღვანელობდა უმაღლესი საბჭოს საფინანსო, საბიუჯეტო და ეკონომიკური საბჭოს (2016-2020 წლებში), იყო აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტი დეპარტამენტის უფროსი (2014-2016 წლებში) და ქობულეთის გამგებელი (2013-2014 წლები).

გამოხმაურება ტელევიზიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით

აჭარის ტელევიზიასა და რადიოში მიმდინარე პროცესებს დიდი გამოხმაურება ჰქონდა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან - მოვლენები ცალსახად კრიტიკულად შეფასდა.[47] 2020 წლის მარტში ადამიანის უფლებებსა და მედიის თავისუფლების დაცვაზე მომუშავე ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მაუწყებელში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოების სახელზე განცხადება გაავრცელეს, სადაც თავიანთი მანდატის ფარგლებში შესაბამისი რეაგირებისა და მაუწყებლის დამოუკიდებლობის მხარდაჭერის თხოვნით მიმართეს.[48] 2020 წლის 13 მაისს რამდენიმე მაუწყებელმა სოლიდარობის ნიშნად 1 წუთით ეთერი გათიშა წარწერით „სოლიდარობა აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტებს.“[49] იგივე წარწერა განათავსეს Facebook-ზე ონლაინგამოცემებმა, რადიოებმა, ონლაინტელევიზიებმა[50] და არასამთავრობო ორგანიზაცებმა.[51] სახალხო დამცველის შეფასებით ტელევიზიაში მიმდინარე მოვლენები საფრთხეს უქმნის ქვეყანაში არსებულ პლურალიზმს და უარყოფითად აისახება გამოხატვის თავისუფლებაზე.[52]

საერთაშორისო ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ რამდენიმე განცხადება გაავრცელა, სადაც ტელევიზიაში მიმდინარე მოვლენებში პოლიტიკური ზეწოლის კვალი დაინახა[53] და მოუწოდა „ქართულ ოცნებას“ პატივი სცეს მედიის საინფორმაციო სამსახურის სარედაქციო დამოუკიდებლობას.[54] ევროპის საბჭოს მედიისა და ჟურნალისტების უფლებების დაცვის ონლაინ პლატფორმაზე სპეციალური შეტყობინება გამოქვეყნდა, სათაურით - „აჭარის ტელევიზიაში რამდენიმე ჟურნალისტი პოლიტიკური ზეწოლის შედეგად გაათავისუფლეს“.[55] ეუთოს სპეციალურმა წარმომადგენელმა მედიის თავისუფლების საკითხებში გამოთქვა შეშფოთება მენეჯმენტის მიერ მედიასაშუალების სარედაქციო პოლიტიკაში სავარაუდო ჩარევის გამო.[56] აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე

---

47 განცხადება ნათია კაპანაძის იმპიჩმენტთან დაკავშირებით, 19.04.2019. https://www.transparency.ge/ge/post/gancxadeba-natia-kapanazis-impichmenttan-dakavshirebit

48 მიმართვა აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე საგანგაშო პროცესებთან დაკავშირებით, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 17.03.2020, https://bit.ly/3oLIVLj

49 20-მდე მაუწყებელმა აჭარა TV-ის ჟურნალისტების მხარდასაჭერად ერთი წუთით ეთერი გათიშა, www.mediachecker.ge, 13.05.2020, https://bit.ly/2T8BPVl

50 სოლიდარობა აჭარის TV-ს ჟურნალისტებს - მედიის აქცია Facebook-ზე, www.mediachecker.ge, 13.05.2020, https://bit.ly/2T8BPVl

51 არასამთავრობო ორგანიზაციების სოლიდარობა აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტებს, www.batumelebi.ge, 21.05.2020, https://batumelebi.netgazeti.ge/news/278420/

52 საქართველოს სახალხო დამცველი აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება, საქართველოს სახალხო დამცველი, 19.02.2020, https://bit.ly/3gxoMEV

53 ქართული ტელეკომპანიის დირექტორის მოადგილე ზეწოლის შედეგად გადადგა, რეპორტიორები საზღვრებს გარეშე, 5.02.2020, https://bit.ly/3vVPsVL

54 რეპორტიორები საზღვრებს გარეშეს განცხადება, 13.05.2020, https://bit.ly/3zgQgHp

55 „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე მოვლენების გამო შეშფოთებას გამოხატავს, https://civil.ge/ka, 06/03/2020, https://civil.ge/ka/archives/341153

56 ეუთოს სპეციალური წარმომადგენელი მედიის თავისუფლების საკითხებში, 10.03.2020, https://bit.ly/3goKQBJ

მოვლენები მოხვდა Human Rights Watch-ისა[57] და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებშიც.[58]

სახალხო დამცველის შეფასებით, აჭარის ტელევიზიაში ჟურნალისტების შრომითი უფლებების დარღვევას ჰქონდა ადგილი. კერძოდ, უფლებები დაირღვა მალხაზ რეხვიაშვილის, შორენა ღლონტის და თეონა ბაკურიძის სამსახურიდან დათხოვნის და მაია მერკვილაძის არატოლფას პოზიციაზე გადაყვანის შემთხვევაში. უფლებების დარღვევა დადგინდა ასევე თეონა თურმანიძის სატელევიზიო საქმიანობაზე დაშვების შეზღუდვისას და სოფიო ჟღენტისთვის შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობის (შესასრულებელი სამუშაოს სახე) შეცვლის დროს. ომბუდსმენის ოფისის შეფასებით, თეონა ხარაბაძისთვის სამუშაო ადგილის შეცვლა მის შრომით უფლებაში ინტენსიურ ჩარევას წარმოადგენდა. სახალხო დამცველმა აჭარის ტელევიზიის მენეჯმენტს შრომითი უფლებების აღდგენის რეკომენდაციით მიმართა, თუმცა მათ სახალხო დამცველის რეკომენდაციები არ გაუთვალისწინებიათ.

გარდა ამისა, სახალხო დამცველის შეფასებით, თეონა თურმანიძისა და თეონა ხარაბაძის შრომით უფლებებში ჩარევის დროს, ადგილი ჰქონდა განსხვავებული მოსაზრებისა და პროფესიული კავშირის წევრობის ნიშნით დისკრიმინაციას.[59]

სახალხო დამცველმა ნათია ზოიძის საქმესთან დაკავშირებითაც დარღვევა დაადგინა.[60] ომბუდსმენმა გენერალურ პროკურორს როგორც ზოიძის, ასევე სხვა ჟურნალისტებთან მიმართებით სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის საფუძველზე გამოძიების დაწყებისკენ მოუწოდა.[61] აღნიშნული მუხლით დასჯადია ადამიანის დევნა, მათ შორის სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.[62]

57 Human Rights Watch-ის 2020 წლის ანგარიში, https://www.hrw.org/world-report/2021/country-chapters/georgia

58 აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში 2020 წელს ადამიანის უფლებების შესახებ საქართველოში, 30.03.2021, https://bit.ly/3oKO0DE

59 სახალხო დამცველმა აჭარის ტელევიზიის ყოფილი და მოქმედი კიდევ 4 თანამშრომლის უფლებების დარღვევა დაადგინა, საქართველოს სახალხო დაცველი, 27.09.2020, https://bit.ly/3bKapM2

60 სახალხო დამცველმა ნათია ზოიძის საქმეზე დარღვევა დაადგინა, აჭარის ტელევიზია და რადიო, 24.10.2020, https://bit.ly/35nAD3q

61 წინადადება აჭარის ტელევიზიის თანამშრომლების მიმართ განხორციელებულ სავარაუდო დანაშაულებრივ ფაქტზე გამოძიების დაწყების შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველი, 26.10.2020, https://bit.ly/3yoJ8IR;

62 სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 156, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=233

რეკომენდაციები

- ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს აჭარის ტელევიზიის საქმიანობაში ჩარევა მასზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით;
- აჭარის ტელევიზიის მენეჯმენტმა უნდა შეწყვიტოს კრიტიკული ჟურნალისტების შევიწროება, გათავისუფლება და უზრუნველყოს ყველა თანამშრომლის შრომითი უფლებების დაცვა და სარედაქციო საქმიანობის დამოუკიდებლობა;
- მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ დროულად განიხილოს ტელევიზიის თანამშრომლების დავები ტელევიზიის წინააღმდეგ და უზრუნველყოს მათი უფლებების ეფექტური დაცვა/აღდგენა;
- მრჩეველთა საბჭომ შეასრულოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობა, უზრუნველყოს მენეჯმენტის საქმიანობის ეფექტური კონტროლი და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლოს, თუ რამდენად კანონიერად მოქმედებს მენეჯმენტი/დირექტორი.